

მერაბ გვაზავა

სიკეთისა და ბოროტების არსისათვის "დათა
თუთაშხიას" მიხედვით

თუ მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას განვსაზღვრავთ, როგორც ლიტერატურული პროცესის ძირითად არტერიას, ხოლო ყველა სხვა მიმდინარეობას, როგორც შვილობილ შენაკადებს, თუ შევთანხმდებით, რომ კლასიკური ლიტერატურა თავისი არსით ეკსისტენციალურია (სიკვდილი, სიცოცხლე, სიკეთე, ბოროტება), ხოლო ზოგადი ტენდენციით — ჰუმანისტური, რომანი "დათა თუთაშხია" უყოყმანოდ უნდა მივაკუთვნოთ ამ ელიტურ, ლიტერატურულ ოჯახს.

ჭაბუა ამირეჯიბი, როგორც მწერალი და შემოქმედი, ბევრად ახლოა მე-19 საუკუნის ჰუმანისტურ იდეალებთან, ვიდრე მე-20 საუკუნის ამორფულ, მეტწილად დასნებოვნებულ და ექსპერიმენტულ ლიტერატურულ პროცესებთან.

წერილის ფორმატი საკითხში მეტად ჩაღრმავების საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომაც ზოგადი განცხადებით შემოვიფარგლებით: რომანის პოეტიკის მთავარ თავისებურებად და მახასიათებლად მივიჩნევთ მის ტენდენციას, რომელსაც, პირობითად, შორ რაკურსს დავარქმევდით: ავტორი ცენტრალურ იდეას უშუალოდ არ გვაწვდის, იგი უნდა შევნიშნოთ და ამოვიცნოთ ჭრელ, მოძრავ, დინამიკურ სინამდვილეში, სადაც ცხოვრების ყველა ხმა ისმის, ასზე მეტი პერსონაჟი საკუთარი ინდივიდუალური ხმით მეტყველებს და მოქმედებს, სწორედ ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში. ჭაბუა ამირეჯიბს ზედმიწევნით მიესადაგება ოსკარ უაილდის აზრი ბალზაკის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი ემილ ზოლასავით უსინდისოდ არ იხატავს ცხოვრებიდან, არამედ ქმნის ცხოვრებას, ლიტერატურულ სინამდვილეს, რომელიც, სამწერლო აქცენტების გამოისობით, უფრო რეალურია, ვიდრე რეალური ცხოვრება.

რომანის ავტორი უმაღლესი სამწერლო ოსტატობით ახერხებს ცხოვრების ყველა ფერისა და ხმის გადმოცემას მისი ყველა აქსესუარით. მკვლევარს სწორედ ამ ლაბირინთებში უხდება გზის გაკვლევა, მთავარი იდეის ამოცნობა, სამწერლო ჩანაფიქრის გახსნა.

რომანი "დათა თუთაშხია" სიკეთე-ბოროტების მარადიულ "წყევლაკრულვიან" თემას ეძღვნება. ორი მთავარი პერსონაჟი სწორედ ამ მხატვრული ფუნქციის მატარებელია, დათა თუთაშხია სიკეთეს განასახიერებს, მუშნი ზარანდია — ბოროტებას. სიკეთე და ბოროტება, როგორც ეთიკური კატეგორიები, დაპირისპირებული ცნებებია; ამაში ახალი არაფერია, სიახლეა საერთო შთაბეჭდილება, რომელიც რომანის ანალიზისას გვეუფლება: სიკეთე და ბოროტება ტყუპისცალელებით ჰგვანან ერთმანეთს, როგორც მუშნი და დათა.

ეს მხატვრული მინიშნება, ცხადია, შემთხვევითი არ არის, სგი ჩვენს შემდგომი კვლევის ორიენტირია. ავტორისეული ჩანაფიქრით, ბოროტება.

როგორც ეთიკური ფენომენი, იოლად დასანახი და ამოსაცნობი არ არის, მეტიც, ნამდვილი ბოროტება, მეტწილად, ადამიანის გაუცნობიერებელ მდგომარეობას წარმოადგენს. ვიღებთ უცნაურ ვითარებას, როდესაც ადამიანები პატიოსნად ემსახურებიან ბოროტებას, სრულიად დარწმუნებულნი, რომ სიკეთის სამსახურში დგანან. უკვე აღვნიშნეთ, რომ მუშნის მხატვრული ფუნქცია ბოროტებაა, ამ თემას ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვენით (მუშნი ზარანდიას სახის ძაგებისათვის, ჟურნალი "განთიადი", 1996 წ. №6) და მასზე არ შევჩერდებით, მაგრამ აქედანვე ვიტყვი: ძალიან გაგვიძნელებდა, ვამხილოთ იგი ბოროტებაში, მუშნის თითოეულ მოქმედებას საფუძვლად უდევს მყარი, ლოგიკურად შეუვალე და მსოფლმხედველობრივად დასაბუთებული პოზიცია; თუ ზნეობას განვსაზღვრავთ, როგორც რწმენისა და მოქმედების ურთიერთმიმართებას, სრულიად ნათელია, რომ მუშნი ზნეობრივი პიროვნებაა. იგი არც ერთხელ არ მიდის საკუთარი რწმენის წინააღმდეგ, ნებისმიერი ზნეობრივი კომპრომისი მისთვის მიუღებელია.

რა არის რეალური ბოროტება, როგორია მისი ფესვი და წარმომავლობა, რა გზით აღწევს იგი ადამიანში, რა მომენტიდან იწყებს ადამიანი გაცნობიერებას, რომ იგი, თურმე, ბოროტებას ემსახურება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევე ძნელია, როგორც ბერძნულ აპორიაზე, თუ, სახელდობრ, რომელი ღერი თმის ჩამოვარდნის შემდეგ ითვლება ადამიანი მელოტად.

ამ კითხვას ისევ დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ავტორის ხედვით ბოროტება არ არის ერთმნიშვნელოვნად ცხადი ეთიკური ფენომენი და იგი მრავალ პლასტს მოიცავს, სწორედ ისე, როგორც სიკეთე.

დათა თუთაშხიას მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ იოლია, იყო კეთილი, მაგრამ უსაზღვროდ ძნელია, აკეთო სიკეთე. ამისათვის მხოლოდ სურვილი და მონდომება არ კმარა. დათა მთელი ცხოვრება ესარჩლება სიკეთესა და სამართლიანობას, მაგრამ შედეგად ბოროტებასა და უსამართლობას იღებს. იგივე ითქმის მუშნიზე, გრაფ სეგედისზე, ნაწარმოების ნებისმიერ პერსონაჟზე, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ სწორად და სამართლიანად ცხოვრობს. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორის ჩანაფიქრით, არსებობს ერთადერთი რაკურსი, ერთადერთი საყრდენი პოზიცია, საიდანაც ჭეშმარიტი სიკეთე მოჩანს, ზნეობრივმა პიროვნებამ ორიენტირად რომ უნდა გაიხადოს.

პიროვნული ზნეობრივი ნორმების დაცვისა და შენარჩუნების უპირველესი პირობა მუდმივი, უწყვეტი თვითკონტროლი და თვითდაკვირვებაა; ამ საკითხზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით გრაფ სეგედის, რომელიც ზემოთქმულის ყველაზე მკაფიო დადასტურებაა.

სეგედის გააჩნია სტერეოტიპთა ვრცელი და შეკრული სისტემა. სტერეოტიპი, მისი ლექსიკით, აღნიშნავს მოქმედების ერთგვაროვან მოდელს ნებისმიერ ვითარებაში, სხვა სიტყვებით, ეს არის მზა რეცეპტი სხვადასხვა დაავადებისათვის.

სეგედის წესად აქვს თვითკონტროლი, ქვეცნობიერის დონეზეც კი. იგი მუდმივად ებაეჭრება საკუთარ თავს, აანალიზებს თითოეულ ქმედებას და ფხიზლად და ეჭვიანად აკვირდება თითოეულ ცვლილებას, რომელსაც მის მწყობრ მსოფლალქმაში ბზარის გაჩენა შეუძლია. ეს საკუთარი თავის მიმართ უაღრესად მომთხოვნი, მაღალზნეობრივი ადამიანის ცხოვრების წესია.

სხვა რაღა მოეთხოვება ადამიანს, რათა მან მშვიდად იცხოვროს, მორალური კმაყოფილების განცდით, რომ იგი მართალია და ღირებულებები, რომელთაც იგი აღიარებს და ემსახურება, ჭეშმარიტი ღირებულებებია?!

მაგრამ მწერალი მის მიმართ დაუნდობელია. მკითხველმა იცის, რომ სეგედი მშვიდ სიბერეს ვერ ეღიარება და კრიტიკულ მომენტში მისი სტერეოტიპთა სისტემა ხუხულასავით ჩამოიშლება.

გვგონია, რომ ჭაბუა ამირეჯიბი საკუთარ გმირებს ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებს, სწორად ცხოვრებისათვის მხოლოდ მაღალი ზნეობა და სიკეთის ქმნის წყურვილი არ კმარა, აუცილებელია სწორი საწყისი პოზიცია, მსოფლმხედველობრივი საყრდენი, საიდანაც სიმართლე შეუნიღბავად და შეუღამაზებლად მოჩანს.

ავტორის ხედვით, არ არის საკმარისი, ერთგულად ემსახურო შენ მიერ შერჩეულ და აღიარებულ ღირებულებებს, საჭიროა, მიაგნო ჭეშმარიტ ღირებულებებს და ემსახურო მათ, სხვა შემთხვევაში რყევა და ნგრევა გარდაუვალია. ეს არის მოცემულობა, თამაშის წესები, რომელიც გარეშე ინტელექტმა დაამკვიდრა.

სეგედისათვის უპირველესი ღირებულება სამშობლო და მისადმი მსახურებაა. ამ საკითხს ვრცელი სტერეოტიპი ეძღვნება, რომელსაც ადგილის სიმცირის გამო ვერ მოვიტანთ. თავისი არსით, ეს არის ველიკორუსული იმპერიალიზმის ნამდვილი სახე მის საუკეთესო ვარიანტში. სეგედი თითქოს ბოდიშობს, როცა წერს, ასე აღმზარდესო. ყველაფერი სამშობლოსათვის, ყველაფერი იმპერიისთვის, რომლის ქვეშევრდომებიც “ჩვენებად” და “სხვებად” იყოფიან. გრაფი სწორედ ამ პოზიციიდან ახდენს აბსტრაქტიზმს ისე, რომ თავად სტერეოტიპის ბუნებას (მართებულია, თუ უმართებულო, სამართლიანია, თუ უსამართლო) არ განიხილავს. სტერეოტიპამდე იგი მიიყვანეს (ასე აღზარდეს), ასეთი ნავსადგურიდან გასული ზომალდები კი აუცილებლად ქარიშხალში ზვდებიან.

სეგედი დამარცხებული გმირია. მისი ფიასკო არასწორად შერჩეულმა მსოფლმხედველობრივმა საყრდენმა განაპირობა.

იგივე ვითარება გვაქვს მუშნი ზარანდიასთანაც. მის ტრაგედიას მსოფლმხედველობრივი ფორმირების პროცესში დაშვებული შეცდომა განაპირობებს. ამაზე ქვემოთ ვიტყვი. ზერ კი აღვნიშნავთ, რომ მუშნი პიროვნული ღირსებებით დათას არ ჩამოუვარდება. იგი სრულიად წრფელი, ხალისიანი და უანგარო პიროვნებაა. თანამდებობრივი თუ ქონებრივი ამბიციები, რაც ასე დამახასიათებელია, ზოგადად ადამიანისათვის, მისი ინტერესების მიღმა დგას. მუშნი იდეალისტია, მას სურს, იცხოვროს სწორად და სამართლიანად. მუშნი ადამიანთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც არ შეუძლიათ, ჭიანჭველასავით იცოცონ საგნის ზედაპირზე და წარმოდგენა არ ჰქონდეთ, თუ რა ფორმისაა ეს საგანი. მიდრეკილება სისტემური ცოდნისაკენ მუშნის უბიძგებს, უპირველეს ყოვლისა, სწორად გაიაზროს მსოფლიო ისტორია.

მხედველობაში გვაქვს მუშნი ზარანდიას ეპისტოლე: მისი დაკვირვებით, საკაცობრიო ისტორიის ნებისმიერი გზაჯვარედინი, ყველა დიდი შემობრუნება (ფორმაციათა ცვლა, როგორც თვითონ უწოდებს), წარმოადგენს ახალი ძალმომრეობის გამარჯვებას ძველ ძალმომრეობაზე. ახალი იდეის მქადაგებლები პოლიტიკური ანტიუტოპიისტიები არიან, რომლებიც ფანატიკოსთა არმიის

ეყრდნობიან. ცვლილებები (ტყავის სამოსის შეცვლას სელის თუ მაუდის სამოსით, კავის ჩანაცვლება გუთნით, კერპების შეცვლა ლამაზად დახატული ხატებით და სხვა) ფასადური ხასიათისაა, არსი კი უცვლელია: მარადიულ ადამიანურ ვარამს, მსოფლიოს სევდას ვერაფერი შევლის.

რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა, რომელმაც ისტორიის მამოძრავებელი ბერკეტი ამოიცილა? ზნეობრივი ადამიანი წინ უნდა აღუდგეს ახალ ძალმომრეობას და დაიცვას ძველი, რათა არ დაიდვაროს სისხლი, არ გაუბედურდნენ მილიონები.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი ცნობიერი ცხოვრების დასაწყისშივე ადგენს მთელი მომავალი ცხოვრების გეგმას. მუშნიმ, ანგელოზივით, ერთხელ იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა.

ადამიანი მზარდი არსებაა (გველისხმობთ უკვე ზრდასრულ ადამიანს), თანდათანობით იძენს გამოცდილებას და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ხდება მისი მსოფლმხედველობის კორექტირება-ფორმირება... ეს ბუნებრივი განვითარების გზაა, რომელიც ადამმა დაარღვია და მუშნიც პირველ ცოდვას იმეორებს.

მუშნის ფილოსოფიის ყველაზე პრინციპული მომენტი გახლავთ რწმენა, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას მხოლოდ ადამიანი წარმოადგენს. მუშნი, დიაკვნის შვილი, სრული ათეისტია, იგი არ ცნობს გარეშე ინტელექტის მიერ დამკვიდრებულ თამაშის წესებს, რომელთაც ისტორიული კანონზომიერების სახელით ვიცნობთ.

დავუბრუნდეთ ეპისტოლეს, უფრო სწორად, ერთ წინადადებას ამ წერილიდან, რომელსაც ჩვენი დაკვირვებით, სამწერლო ჩანაფიქრის გახსნის თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

“... კერპებს აღარ ეთაყვანებოდნენ და ლამაზად დახატულ ხატებზე ლოცულობდნენ”.

წარმართობის ჩანაცვლება ქრისტიანობით რევოლუციაა; მუშნის კატალოგი, ეს იმავე ტიპის ახალი ძალმომრეობით ძველის ჩანაცვლებაა, როგორც ყველა სხვა. კავის ტრანსფორმაცია გუთნად იგივეა, რაც კერპებისა – ხატებად. ყურადღება მიაქციეთ, ამ რევოლუციის შედეგი მხოლოდ ისაა, რომ მახინჯი კერპი ლამაზად დახატული ხატით შეიცვალა.

რომანის შაგისტრალური იდეის გათვალისწინებით გვეონია, რომ საკვანძო მომენტთან გვაქვს საქმე. ქრისტიანობის მთელი ჰუმანიტარული სისავსე მუშნის მხედველობას მიღმა რჩება.

მუშნის მთელი მომდევნო ცხოვრება მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციის პროექცია და ხორცშესხმაა. იგი მზადაა, პატიოსნად ემსახუროს ძველ ძალმომრეობას – იმპერიას რევოლუციის მიმართ საკუთარი (სავსებით მართებული) დამოკიდებულების საფუძველზე და მეორეც: იგი, როგორც ქართველი, საკუთარი სამშობლოსთვის უკეთესს ჯერ ვერაფერს ხედავს.

ისევე, როგორც სეგედისთან, მუშნისთანაც მისი ფიასკოს მიზეზები მისსავე მსოფლმხედველობრივ პოზიციაში უნდა ვეძიოთ. ჭაბუა ამირეჯიბი ეხმაურება და ენათესავება დოსტოვესკის ივან კარამაზოვს, მიიჩნევს რა, რომ მისი გამირის ტრაგედიის მიზეზი მის ათეიზმშია.

შეზღუდული სივრცე ადვილს არ ვვითვებ ვრცელი მსჯელობისათვის, ამიტომ მხოლოდ ორიოდვე პასაჟის ანალიზით შემოვიფარგლებით.

პანისლამისტი აგენტების საქმეში ერთი ეპიზოდი იპყრობს ჩვენს ყურადღებას: დაბატიმრებულ აგენტებს მუშნი საოცარი ტექსტით მიმართავს: თქვენ ღორის სული და ვირის ქკუა გაქვთ, — ასე იწყებს იგი თავის მიმართვას. აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მუშნის მიერ გამოთქმული აზრები ზედმიწევნით ემთხვევა რუსეთის იმპერიის ოფიციალურ იდეოლოგიას. ეს არის საზრდო და ულუფა, რომლითაც იმპერია თავის ერთგულ ქვეშევრდომებს უმასპინძლებოდა და უმასპინძლებდა. რუს მუჟიკს ახარებს იმის წარმოდგენა, რომ დიადი რუსეთის წინაშე მისი მტრები ძრწიან. ამ სანეტარო განცდისათვის იგი ყველა სხვა საჭიროებაზე ამბობს უარს. მუშნი, სეგედისა და ჟანდარმერიის სამმართველოს მთელი ხელმძღვანელობის თანდასწრებით, ამ ინსცენირებას კომედიას უწოდებს. გასაგებია, თუ რამდენად ერთგულქვეშევრდომული განცდების მატარებელია იგი.

ცხოვრების მიწურულს მუშნი, სეგედის დაკვირვებით, უკვე მკაფიოდ გამოხატული კარისკაცია. მის ინტონაციაში მონის თაყვანისცემა იგრძნობა, კარგავს დამოუკიდებლობას, იგი დაჰყვა “ჩამთრევ ძალას”, მის სულში რაღაც მოხდა.

მუშნი ცდილობს, საკუთარი ცხოვრების გამართლებას, ამტკიცებს, რომ იუდა ქრისტეს უკვდავებისათვის აუცილებელი იყო, და რომ მას განგებამ სწორედ იუდას როლი არგუნა.

არ გვსურს, რომანის ავტორს საკუთარი აზრი მივაწეროთ, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, მისი თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს:

სიკეთის ქმნისთვის ერთადერთი სწორი პოზიცია არსებობს. ნებისმიერი სხვა პოზიციიდან ქმნილი სიკეთე ფსევდოსიკეთეა და იგი აუცილებლად ბოროტებად გარდაიქმნება. ეს არის წესი და კანონზომიერება, რომელიც გამონაკლისს არ იცნობს. ქვეშარიტი სიკეთე კი მხოლოდ სახარებისეულია. სახარების მიღმა მდგომი სიკეთე, რაოდენ გულწრფელი და უანგაროც უნდა იყოს მისი შემოქმედი, თავისი არსით ბოროტებაა. ეს არის რომანის ცენტრალური იდეა და მთავარი სათქმელი.

სიტყვა გაგვიგრძელდა, ამიტომაც დათა თუთაშხიაზე — ამ თვალსაზრისის ყველაზე მკაფიო დადასტურებაზე, ბევრს ვერაფერს ვიტყვით. აღვნიშნავთ, რომ ბოროტების სიკეთედ გარდაქმნას იგი მხოლოდ მაშინ ახარხებს, როცა სახარებისეულ პრინციპებს ეყრდნობა. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ თეზისს მტკიცება არ ესაჭიროება.

მისი ტყუპისცალი მუშნი ზარანდია კი არ სცნობს სახარებას, ინტელექტით (და არა გულით) ცდილობს ქვეშარიტების წვდომას. გარეშე ინტელექტის მიერ დამკვიდრებული უხილავი, მაგრამ მოქმედი კანონზომიერებები მას გზას უღობავენ. მუშნი ემსგავსება ჩქარ მდინარეში მოხვედრილ ადამიანს, რომელზეც მასზე აღმატებული ძალები ზემოქმედებენ.

მელანქოლია სასოწარკვეთის ავადმყოფობაა. მუშნი ზარანდიას ცხოვრების უკანასკნელი წლები მოწამლული ექნებოდა ერთადერთი კითხვით: როდის დაიწყო ეს კომპარი, როგორ მოხდა, რომ წრფელი, ხალისიანი, უანგარო და კეთილშობილი მუშნი ზარანდია იუდად გარდაიქმნა?!

ყველაფერი კი ლამაზად დახატული ხატებით დაიწყო. ათეიზმი, ნებისმიერი შეფუთვით, ბოროტებაა; სხვა პერსპექტივა მას არ გააჩნია. სიკეთის ქმნის უფლებას მხოლოდ სახარება იძლევა.

ჭ. ამირეჯიბი, 2003 - ჭ. ამირეჯიბი, დ. თუთაშხია, თბ., 2003.

MERAB GVAZAVA

ON THE IDENTITY OF GOOD AND EVIL ACCORDING TO “DATA TUTASHKHIA”

Chabua Amirejibi's "Data Tutashkhia" belongs to the family of the classic literature, which with its essence fits to existential novel. With the highest mastery of the belles-lettres the author succeeds in conveying all the colors and voices of literary reality and of the life.

"Data Tutashkhia" is dedicated to the eternal theme of the good and the evil. Novelty is the general impression with which readers are exerted during the analysis of the novel: good and evil are as identical as identical twins, symbolized by the protagonists Data Tutashkhia and Mushni Zarandia.

Following the author's vision it is difficult to recognize the evil. Moreover, real evil, sometimes, is unconscious state of a human-being. Evil comprises a lot of forms and layers and so is good.

On the example of Data Tutashkhia's life we see that it is comparatively easier to be good and kind than evil but it is enormously difficult to do the good. With his life Data Tutashkhia fights for and guards, and protects the good and justice but what he yields is evil and injustice. The author is very demanding to his protagonists. High moral and the thirst for doing good is not a sufficient claim for the fair and correct life; it is necessary to have the right starting point, high value system and the true worldview.

Data Tutashkhia manages to turn evil into good when he guides by the gospel principles. The reason of Mushni Zarandia's fiascos rests in the worldview he had chosen for his lifestyle. His atheistic vision does not recognize the principles of the New Testament.

Whether one is believer or not the real good is in the principles of the gospel. This is the central idea of the novel and its main narrative.